საიდ. N83241/03

IR1256722

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N88-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), თ. ჯაფარიძე, ს. ებრალიძე, თ. კევლიშვილის მდივნობით განიხილა კომპანიის „ნოვომატიკ აგ“ (NOVOMATIC AG) N88-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 10 მაისის N1295/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც

განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „Beetle Mania“ (საიდ. N83241/03, IR 1256722) უარი ეთქვა საქართველოში დაცვის მინიჭებაზე მე-9 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული ნიშნისთვის დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-9 და 28-ე კლასები).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 10 მაისის N1295/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს, „Beetle Mania“ (საიდ. N83241/03, IR 1256722) ნაწილობრივ უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე, ვინაიდან მსგავსია საქპატენტში კომპანიის „ვინკორ ნიქსდორფ ინტერნაციონალ გმბჰ“ სახელზე მე-9 კლასის საქონლის ჩამონათვალისთვის რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა „BEETLE“ (რეგ. თარიღი: 17/04/1998, რეგ. N8932). დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები წარმოადგენენ ლათინური ანბანით შესრულებულ ასოთა კომბინაციას. განცხადებული სასაქონლო ნიშანი მოიცავს დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს. ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, ვინაიდან ორივე ნიშანი შედგება სიტყვისგან „BEETLE“. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი შედგება დამატებითი სიტყვიერი ელემენტისაგან „Mania“, რომელიც არ ანიჭებს ნიშნებს საკმარის განმასხვავებლობას. ამასთან, ნიშნებს აქვთ საერთო სემანტიკა, სიტყვა „beetle“ ინგლისურიდან ქართულად ითარგმნება, როგორც „ხოჭო“. აღნიშნულის გამო, განცხადებულ ნიშანს „Beetle Mania“ (საიდ. N83241/03, IR 1256722) „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

მიენიჭა დაცვა 28-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-9 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი კომპანია „ნოვომატიკ აგ“ (NOVOMATIC AG) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, სასაქონლო ნიშნისთვის „Beetle Mania“ (საიდ. N83241/03, IR 1256722) საქართველოში დაცვის მინიჭება არ ეწინააღმდეგება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონს, ვინაიდან არ არსებობს ამავე კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შედარებითი საფუძველი.

აპელანტის პოზიციით, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი განსხვავდება ვიზუალური და ფონეტიკური თვალსაზრისით, ამასთან განსხვავებულია მე-9 კლასის საქონლის ჩამონათვალი.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი შედგება ორი სიტყვიერი ნაწილისაგან, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი შედგება ერთი სიტყვისაგან, რომელიც ასომთავრულადაა შესრულებული. შესაბამისად, ნიშნებს შორის არსებობს ვიზუალური და ფონეტიკური განსხვავება. ამასთან, ნიშნები განსხვავდება საერთო შთაბეჭდილებით.

აპელანტის განმარტებით, განსხვავებულია განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალი. მიუხედავად იმისა, რომ ორივე სასაქონლო ნიშანი განცხადებულია მე-9 კლასის საქონლის მიმართ, კერძოდ კომპიუტერული პროგრამების მიმართ, მნიშვნელოვანია, თუ რა დანიშნულებით გამოიყენება ნიშნებით მონიშნული საქონელი. განცხადებული სასაქონლო ნიშნის მე-9 კლასის საქონლის ჩამონათვალი მოიცავს ისეთ პროგრამებს, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ სამორინეებისათვის და სათამაშო აპარატებისთვის. რაც შეეხება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალს, იგი რეგისტრირებულია მე-9 კლასის ისეთი კომპიუტერული

პროგრამებისთვის, რომელიც განკუთვნილია საბანკო სექტორისა და სასაწყობო საქმიანობისათვის.

აპელანტის პოზიციით, განცხადებული სასაქონლო ნიშნის საქართველოს ტერიტორიაზე დაცვა არ გამოიწვევს ნიშნებს შორის აღრევას და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას, ვინაიდან დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნებით მონიშნული საქონელი განსხვავებულია და მიეკუთვნება საქმიანობის სხვადასხვა დარგს.

აპელანტის განმარტებით, საქპატენტში რეგისტრირებულია ისეთი სასაქონლო ნიშნები, როგორიცაა: „Amber“ (რეგ. N21600, კლასი 34-ე) – „AMBER LEAF“ (რეგ. N13575, კლასი 34-ე) და LUK (რეგ. N11685, კლასი მე-4, მე-7 და 37-ე) – LUK (რეგ. N13064, კლასი მე-4, მე-7 და 37-ე).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 10 მაისის N1295/03 ბრძანების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „Beetle Mania“ (საიდ. N83241/03, IR 1256722) უარი ეთქვა საქართველოში დაცვის მინიჭებაზე მე-9 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული ნიშნისთვის დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-9 და 28-ე კლასები).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. N88-03/16) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი - იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ

ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2014 წლის 19 აგვისტოს N05 ბრძანებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „სიმბოლოების მსგავსების დადგენის ძირითადი კრიტერიუმი შეიძლება იყოს სიმბოლოების სმენითი (ფონეტიკა, მუსიკალური ჟღერადობა), მხედველობითი (გრაფიკა, ფერთა შეხამება), აზრობრივი (სემანტიკა, არსი) მსგავსება. სიმბოლოების შედარებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთო შთაბეჭდილებას“.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „Beetle Mania“ (საიდ. N83241/03, IR 1256722) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „BEETLE“ (რეგ.თარიღი: 17/04/1998, რეგ. N8932) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. ნიშნები აღრევამდე მსგავსია ვიზუალური, ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები სიტყვიერია და შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასოებით.

ამასთან, განცხადებული სასაქონლო ნიშანი სრულად მოიცავს დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს. მიუხედავად იმისა, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი შეიცავს დამატებით სიტყვიერ ელემენტს - „Mania“, აღნიშნული ნიშნებს ვერ სძენს საკმარის განმასხვავებლობას.

განცხადებული ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „ბითლ მანია“, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი, როგორც „ბითლ“.

ნიშნებს მსგავსია სემანტიკური თვალსაზრისითაც, ვინაიდან განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართულად ითარგმნება, როგორც „ხოჭო მანია“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, როგორც „ხოჭო“.

მსგავსია ასევე, დაპირისპირებული ნიშნების მე-9 კლასის საქონლის ჩამონათვალი, ვინაიდან დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალი დაკავშირებულია კომპიუტერებთან და კომპიუტერულ პროგრამებთან.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კოლეგიამ მიიჩნია, რომ აღრევამდე მსგავსია დაპირისპირებული ნიშნების საერთო შთაბეჭდილება, რომელსაც ისინი ახდენენ მომხმარებელზე.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის N02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ნოვომატიკ აგ“ (NOVOMATIC AG) N88-03/16 სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 10 მაისის N1295/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: მ. ფრუიძე

წევრები: თ. ჯაფარიძე

ს. ებრალიძე